

გელა კეტაშვილი

GELA KETASHVILI

ილია ჯაჯუნაშვილი

ქართველი ოლიმპიური ჩემპიონები

GEORGIAN OLYMPIC CHAMPIONS

პროექტის ავტორი და მთავარი რედაქტორი
ელგუჯა ბერიშვილი

THE PROJECT AUTHOR AND EDITOR-IN-CHIEF
Elguja Berishvili

პროექტის მენეჯერი
ემზარ ზენაიშვილი

THE PROJECT MANAGER
Emzar Zenaishvili

პროექტის კოორდინატორი
რუსუდან აფციაური

THE PROJECT COORDINATOR
Rusudan Aptsiauri

ტექსტი
ილია ბაბუნაშვილი

TEXT
Ilia Babunashvili

დიზაინი
ვახტანგ შატაიძე

DESIGN
Vakhtang Shataidze

რედაქცია
**ავთანდილ გურასაშვილი, ჯემალ კასრაძე, დავით ჭელიძე,
კარლო ფაჩულია, ზაალ ანჯაფარიძე, ინგა ალავიძე,
ნანა ჯოხარიძე, მაია ბერიშვილი, ივანე ბურნაძე**

EDITORIAL STAFF
**Avtandil Gurasashvili, Jemal Kasradze, David Chelidze,
Inga Alavidze, Karlo Pachulia, Zaal Anjaparidze, Nana Jokharidze,
Maia Berishvili, Ivane Burnadze**

ფოტო
**ალექსანდრე კოტორაშვილი, ჯემალ კასრაძე,
დიმიტრი დონსკოი, www.sportphoto.ge**

PHOTO
**Aleksandre Kotorashvili, Jemal Kasradze,
Dmitryi Donskoy, www.sportphoto.ge**

პარტნიორები
**საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი
საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ოლიმპიური სოლიდარობა
საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია**

PARTNERS
**Georgian National Olympic Committee
Olympic Solidarity of the International Olympic Committee
Georgian Football Federation**

ISSN 2233-3096
ISBN 978-9941-0-4160-0

ქართველი ოლიმპიური ჩემპიონები

გელა კეტაშვილი

2012

© საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაცია
© GEORGIAN SPORTS WRITERS ASSOCIATION

საჩუქარი

ბიშოვეცის კაიუტაში შემოდი, მწვრთნელს შენთვის საჩუქარი აქვსო. გელა კეტაშვილს ყურადღება ესიამოვნა. ან კი, რა არის გასაკვირი, ყურადღება ყველას სიამოვნებს, მით უფრო, თუ დაბადების დღე გაქვს. ქართველი მცველი 27 სექტემბერს 23 წლისა შესრულდა, დღეობა კი არ ჰქონია. უფრო სწორედ, ჰქონდა, მაგრამ სრულიად განსხვავებული — ჩვეულებრივ, ადამიანები დაბადების დღეს სამხრეთ კორეის ქალაქ პუსანის „გუდეოკ სთედიუმის“ მოედანზე, ოლიმპიადის ნახევარფინალში, იტალიის ნაკრებთან ბრძოლაში არ ატარებენ. თან, როგორი დღეობა გამოვიდა? — თავისი დამატებითი დროითა და შემორჩენილი, შემონახული თუ საიდანღაც გამოძებნილი ძალ-ღონის ბოლომდე დაცლით. იმ დღეს, 10 ათასი მაყურებლის წინაშე, საბჭოელთა და იტალიელთა შეხვედრის ძირითადი დრო 1:1 დასრულდა, დამატებით ნახევარ საათში კი წითელ-ფორმიანმა ოლიმპიელებმა ცისფერფორმიანებს ორი გოლი გაუტანეს, გაშვებით მხოლოდ ერთი გაუშვეს, ჯამში 3:2 მოიგეს და ფინალში გავიდნენ... ოლიმპიადის ფინალში! ერთი სიტყვით, ასე გამოვიდა: ოცდამესამე დაბადების დღეზე თბილისის „დინამოსა“ და საბჭოთა კავშირის თავიდან იუნიორთა, შემდეგ ჭაბუკთა და ბოლოს, ოლიმპიური ნაკრების მცველმა საკუთარ თავს თვითონ მიუძღვნა საჩუქარი, სხვისგან კი არაფერი მიუღია და აი, ეუბნებიან ანატოლი ბიშოვეცი თავის კაიუტაში გეძახის, საჩუქარი უნდა მოგართვასო. მწვრთნელისგან ეს დიდი დაფასება იყო.

ამრიგად, კეტაშვილი ბიშოვეცის კაიუტაში ჩავიდა. სურათი ნათელი რომ იყოს, აქვე ვთქვათ, რომ ოლიმპიელთა დამრიგებელი და ქართველი სტოპერი ერთმანეთს დიდ პატივს სცემდნენ. მათი ურთიერთობა, რასაკვირველია, კორექტული იყო, მაგრამ არც ზედმეტი ფამილარობით გახლდათ დამძიმებული.

— აბა, ფიოდოროვიჩ, რა უნდა მაჩუქო? — ღიმილით შეაბიჯა კეტაშვილმა უფროსის კაიუტაში.

— მოდი, აქ მაქვს შენი საჩუქარი, — ფიოდოროვიჩმა „კეტა“ მაგიდასთან მიიხმო.

მწვრთნელი და მცველი მაგიდას შემოუსხდნენ. მწვრთნელმა ერთიც შეხედა იუბილარს, მოლოდინი ერთი წამითაც გააჭიანურა და... მაგიდაზე მეორე ფინალისტის, ბრაზილიის ნაკრების სქემა გაშალა.

— აი, კეტა, ბრაზილიელები ასე თამაშობენ... — და, ანატოლი ივანოვიჩი მეტოქის დაწვრილებით დახასიათებას შეუდგა, — ...ხოლო, თავდასხმაში ერთი ბიჭი ჰყავთ, რომარიო ჰქვია. სწორედ ის მიჩუქნია შენთვის, მთელი ფინალური მატჩის განმავლობაში შენი იყოს.

გულუხვად დასაჩუქრებული გელა კეტაშვილი თავის კაიუტაში დაბრუნდა. უკან დახევა არასდროს სჩვეოდა: რომარიოა და რომარიო იყოს, ფიქრობდა შეუპოვრობის ნიჭით დაჯილდოებული. მოვა ფინალის დღე და გამოჩნდება. „ფინალამდე ასე მოვედი და ახლა რაღა დამახევინებს უკან?“ — სსრკ ნაკრების ერთადერთი ქართველი ფეხბურთელის რწმენას ვერაფერი შეარყევდა.

„ფინალამდე ასე მოვედი...“ კი მაგრამ, როგორ, ასე? — ბუნებრივად გაუჩნდება ეს კითხვა ჩვენი ამბის მკითხველს.

როგორ და...

თუმცა, მანამდე კიდევ ერთი საჩუქრის ამბავი უნდა გიამბოთ, საჩუქრისა, რომელსაც თავად გელა დღემდე გაოცებული იგონებს.

მოგეხსენებათ, ყველაფერი, რაც ცხოვრებაში ხდება ჯაჭვივით არის ასხმული. დღევანდელი დღე ასეთი იმიტომ არის, რომ გუშინ გავაკეთეთ რაღაც, რამაც ასეთი სინამდვილე მოიტანა, ხვალ კი აუცილებლად მოხდება ის, რაც დღევანდელი დღით იქნება განპირობებული და ასე, დაუსრულებლად — გელა კეტაშვილმა ოლიმპიადის ფინალი იმიტომ ითამაშა და საჩუქრად, იმხანად 22 წლის რომარიო იმიტომ ერგო, რომ 27 სექტემბერს, ნახევარფინალში, სირიელმა კაცმა, ალ შარიფმა თავისებური საჩუქარი უძღვნა. ეს ალ შარიფი საბჭოთა კავშირისა და იტალიის ნაკრებების მატჩის მსაჯი გახლდათ.

როგორც ზემოთ მოგახსენეთ, გელა კეტაშვილს ანატოლი ბიშოვეცი ცენტრალურ მცველად ათამაშებდა, მის უკან, თავისუფალ მცველად ანუ ლიბეროდ კი მინსკელი სერგეი გორლუკოვიჩი ეყენა — 1988 წელს ოთხი მცველის ერთ ხაზზე განლაგება ჯერ მიღებული არ იყო. ამრიგად, კეტაშვილი კონკრეტულ თავდამსხმელს მეურვეობდა, ხოლო გორლუკოვიჩი მას და სხვა თანაგუნდელებს უკნიდან აზღვევდა. მოკლედ, თეორიულად ყველას თავისი საქმე ჰქონდა და ყველასთვის ყველაფერი გასაგებიც იყო, მაგრამ ფეხბურთელებს ერთნაირად ვერ ენდობოდა თუ სხვა რამ მიზეზის გამო, ბიშოვეცს კეტასთვის ნათქვამი ჰქონდა, შენს კაცს ხომ სდევ და სდევ, იცოდე, ყურადღება უკანაც უნდა მიმიქციოო. გელაც გაათმაგებული სიფხიზლით ასრულებდა მწვრთნელის დავალებას.

მაგრამ, შეცდომა ოხერია, დანდობა არ იცის, ყველას მოსდის. ნახევარფინალია, დამატებითი დრო. ღონე აღარ არის, სამაგიეროდ, გამარჯვება ჩანს ახლოს, სსრკ-ს ნაკრები უკვე 3:1-ს იგებს. და აი, ამ დროს იტალიელთა შეტევა იწყება, შემდგომში საკმაოდ ცნობილი თავდამსხმელი რუჯერო რიციტელი ქართველ მცველს შემხვედრ მოძრაობაზე იჭერს, გორლუკოვიჩი კი, წესით კეტაშვილისა და რიციტელის უკან რომ უნდა იდგეს, მარჯვნივ, მოედნის კიდისკენ წასულა. ერთი სიტყვით, რიციტელი კეტაშვილს უსხლტება და, შენ დაუკარ! — წინ ხვდება თავისუფალზე თავისუფალი სივრცე, მეკარე დმიტრი ხარინთან შედის პირისპირ. ეს, არ შეიძლება! — დაჰკრა კეტაშვილს თავში. ქართველ მცველს პასუხისმგებლობის გრძნობა ყოველთვის ბუნებრივად ჰქონდა მოჭარბებული — ეს, არ შეიძლება! და გელა ინსტიქტურად იღებს გადაწყვეტილებას. ის გაშლილი ფეხით მიფრინავს დაწინაურებული რიციტელისკენ.

სარმა! გელა გრძნობს, რომ კონტაქტი უხეში გამოვიდა. რიციტელის ქაცვები მუხლში მოხვდა, ის მოედანზე ეზღერთება. მსაჯი უსტვენს. მართალია, შორეულ 88-ში „ბოლო იმედის წესი“ დღევანდელი-

ვით მკაცრად ჩამოყალიბებული არ იყო, მაგრამ კეტაშვილისთვის ყველაფერი ცხადია: ამით ოლიმპიადა დასრულდა. ალ შარიფის ჯიბიდან ამოძვრენილი ბარათის ფერს შეიძლება არც შეხედო, პირდაპირ გასახდელისკენ უნდა გაუყვე გზას.

მაგრამ, ნუ დაგვავიწყდება, რომ 27 სექტემბერს გელა კეტაშვილის დაბადების დღე იყო, ეს კი, ბედმა კარგად იცოდა (ბოლოს და ბოლოს, სტადიონზე გამოაცხადეს, ხალხმა ტაში დაუკრა) და სირიელი კაცის ხელით ქართველს საჩუქარი გამოუგზავნა — ყვითელი ბარათი...

საღამო. სასტუმრო პუსანში, სადაც საბჭოთა ნაკრების გარდა იტალიელებიც იყვნენ დაბანაკებულნი — კეტაშვილი და მისი თანაგუნდელები ზემოთ ნახსენებ გემზე მხოლოდ იტალიასთან თამაშის შემდეგ ანუ ფინალური მატჩის წინ გადავიდნენ — გელა რიციტელის ნომერთან მიდის და კარზე აკაკუნებს.

— ოლიმპიადის დღეებში საბჭოთა სპორტსმენებს ყოველ დილით სამ-სამ ქილა ხიზილალას გვირიგებდნენ. ამდენის შეჭმა უბრალოდ შეუძლებელი იყო და, ბუნებრივია, გვიგროვდებოდა, — ღიმილით იგონებს კეტაშვილი, — მეც მოვკიდე ძღვენს — ხიზილალებსა და საბჭოთა კავშირის ნაკრების მაისურს ხელი და რიციტელისთან ბოდიშის მოსახდელად გავემართე. კარი მისმა თანაგუნდელმა გამიღო. შევედი, იტალიელს ბოდიში მოვუხადე და საჩუქარი გადავეცი. რომ დაინახა რა მივუტანე, ისე გაეხარდა, კინაღამ მეორე ფეხიც გამომიშვირა, თუ გინდა ესეც მომტეხეო...

მაგრამ, მოდი, ფეხმოტეხილი რიციტელი თავისი არცთუ ურიგო კარიერის დასაწყისში, სასტუმროს ნომერში რუსულ ხიზილალასთან დავტოვოთ და იმ კითხვას დავუბრუნდეთ, ზემოთ რომ გაგვიჩნდა: როგორ მივიდა გელა კეტაშვილი ფინალამდე?

თავად გელა ასე იგონებს: „ოლიმპიადამდე ოთხი თვით ადრე, 5 მაისს, დნეპროპეტროვსკის „დნეპრთან“ საბჭოთა კავშირის ჩემპიონატის შეხვედრაში ძალიან მძიმედ დავშავდი. ეს თბილისში მოხდა.



4 წლის გელა კეტაშვილი

1970-იან წლებში გელა კეტაშვილი „ნორჩ დინამოელში“ ვარჯიშობდა და თანატოლებს აწიოკებდა სხარტი, ტექნიკური, კაფანდარა ბიჭი, რომელსაც ამ მონაცემების გამო მწვრთნელები, ბუნებრივია, თავდამსხმელად ათამაშებდნენ და უმართლებდათ კიდეც. გელა კეტაშვილის პირველი მწვრთნელი სერგო აპრესიანი გახლდათ

ტრავმა იმდენად სერიოზული იყო, რომ ცენტრალური ტელევიზიით, ყოველკვირეულ „საფეხბურთო მიმოხილვაში“ ჩემი ამბავი ცალკე სიუჟეტად გადასცეს. ერთი სიტყვით, უკვე ყველგან წითელი ხაზი მქონდა გადასმული, ჩემი სეულში გამგზავრების ამბავი აღარავის სჯეროდა, მაგრამ, საბედნიეროდ, ფეხბურთელთა ნაკრების ექიმი ქართველი კაცი, ზურაბ ორჯონიკიძე გახლდათ, რომელმაც ჩემი ფეხზე დაყენება ითავა. ბატონი ზურაბი პირადად ჩამოვიდა თბილისში და მოსკოვში გადამაფრინა, სადაც ინტენსიური მკურნალობის კურსი დამინიშნეს. ეს იყო ფორსირებული, კომპლექსური მკურნალობა უამრავი ნემსითა და სხვა მეთოდით, რამაც საბოლოოდ შედეგი გამოიღო — ოლიმპიურ თამაშებამდე 18 დღით ადრე მეც შემიყვანეს იმ დელეგაციაში, რომელიც იაპონიაში შეკრებაზე გაემგზავრა. ბუნებრივია, ჩემი ინტენსიური მკურნალობა იაპონიაშიც გაგრძელდა, მაგრამ იქ უკვე მოედანზე შევძელი გასვლა.

იაპონურ შეკრებაზე საბჭოთა კავშირის ნაკრებმა ხუთი საკონტროლო მატჩი ჩაატარა. პირველ სამში არ მითამაშია, მეოთხეში კი, გადახვეული ფეხითა და ნემსებით გაყუჩებული ტკივილით, ათი წუთით შემიშვეს მოედანზე. ამის შემდეგ იყო მეხუთე შეხვედრა, უკვე იაპონიის ნაკრებთან, ტოკიოს ოლიმპიურ სტადიონზე, სადაც, ისევ გამაყუჩებლების მეშვეობით, თავიდანვე მათამაშეს და ბოლომდე არ გამოვუცვლივარ, თუმცა მატჩის შემდეგ ფეხი ისევ გამისივდა, ჩემი შემდგომ თამაშებში მონაწილეობა ისევ სათუო გახდა.

აქ, აუცილებლად უნდა ითქვას, რომ საბჭოთა კავშირის ნაკრების მწვრთნელი ანატოლი ბიშოვეცი განსაკუთრებით მენდობოდა და ამას ღიად ამბობდა. მან იცოდა ჩემი ქართული ხასიათის, შეუპოვრობის ამბავი. მან იცოდა, რომ მწვრთნელის ნებისმიერ დავალებას უსიკვდილოდ შევასრულებდი და, ფეხნატკენი თუ ჯანმრთელი, მოედანზე ბოლომდე დავიხარჯებოდი. საბოლოოდ, სწორედ ამან განაპირობა ის, რომ იაპონიიდან პირდაპირ კორეაში გამგზავრებულ ნაკრებში, ჯერაც

პირველი პრიზი კარგი თამაშისთვის

დაუსრულებელი მკურნალობისა და კვლავ შესივებული ფეხის მიუხედავად, მაინც შემიყვანეს. აი, ასე აღმოვჩნდი სეულის ოლიმპიადაზე, უფრო სწორად კი პუსანში, სადაც საბჭოთა კავშირის ნაკრები თავიდან დაბანაკდა“.

მაშ ასე, ნაკრები კორეაშია, კეტაშვილი ნაკრებში — დინამოელს უკვე მუდმივნომრიანი მაისური სჭირდება, ის, რომლითაც მთელს ოლიმპიადას ჩაატარებს. კეტაშვილი განაგრძობს:

„საბჭოთა კავშირის იუნიორთა ნაკრებშიც ორი ნომერი ვიყავი და ჭაბუკთა ნაკრებშიც, ახალგაზრდულში კი ამ მაისურით ვკაპიტნობდი კიდეც. ჰოდა, ბუნებრივია, ნომრების არჩევაზე რომ მიდგა საქმე,

ოლიმპიურშიც ჩემი ნომერი ვითხოვე, მაგრამ რას ვხედავ, ორნომრიან მაისურს ხელი ვიკტორ ლოსევმა დაავლო და ჩემიაო, გამოაცხადა. წავკამათდით. არაფრით დავთმე, ურთიერთობა დაიძაბა. ბოლოს, პრობლემა ანატოლი ბიშოვეცმა ჩემს სასარგებლოდ გადაჭრა“.

პირველი მატჩი ბიშოვეცის შეგირდებს პუსანში მასპინძლების, კორეელთა ნაკრებთან ჰქონდათ. საშინლად ცხელოდა, მოედანი ხრიოკი იყო, ბეტონივით გამაგრებული. კეტაშვილის ნატკენი ფეხისთვის ეს დამატებითი დატვირთვა იყო, თუმცა სიტყვა დატვირთვა მეტისმეტად მსუბუქია იმასთან შედარებით, რასაც ქართველი მცველი გრძნობდა. მატჩი რომ დამთავრდა, გაუსაძლისი ტკივილის დასაამებლად ისევ ნემსის გაკეთება გახდა საჭირო. ერთიც უნდა დავუმატოთ: ნუ გაიკვირვებთ და, გელა კეტაშვილისთვის მძიმე იყო იმასთან შეგუება, რომ გუნდში ქართველთაგან მეტი არავინ მიუწვევიათ.

„ის მაძლებინებდა, რომ თხემით ტერფამდე გაჟღენთილი ვიყავი იდეით: მე ეს უნდა შევძლო, მე აქ საქართველოს წარმოვადგენ!“

მაგრამ, ადამიანი რის ადამიანია, ნებისმიერ სიტუაციაში თუ არ გამონახა ის, რაც ცოტათი მაინც მოუხსნის დაძაბულობას: 30 ათასი კორეელის ხმაურში კეტაშვილს კალათბურთელის სიმაღლის ფორვარდის დევნა მოუხდა. სახალისო სანახავი გახლდათ...

შეხვედრა 0:0 დასრულდა.

საინტერესოა, რომ საბჭოთა კავშირის ოლიმპიური ნაკრების წინაშე დასმული იყო ასეთი ამოცანა: ჯგუფიდან გასვლა და საპრიზო ადგილის დაკავება. ჩემპიონობას არავინ ითხოვდა.

ნემსმა ტკივილი გააყუჩა, დამატებითმა შემოწმებამ კი ექიმებს იმედისმომცემი დასკვნა გააკეთებინა — მართალია, კეტაშვილის მდგომარეობა არ გაუმჯობესებულა, მაგრამ არც გაუარესებულა. ეს უკვე კარგი ნიშანი იყო. შესაბამისად, ნაკრების ხელმძღვანელობამ გადაწყვეტილება მიიღო: ცენტრალური მცველის ფეხს განსაკუთრებული გაფრთხილება სჭირდება. კეტას ყოველი გადაადგილება ექიმებთან უნ-

და იყოს შეთანხმებული. სხვები ვარჯიშობენ? კეტა ნომერშია და ფეხს ასვენებს. სხვები სასადილოში მიდიან? კეტას ნუ დატვირთავთ, კერძი ოთახში ამოუტანეთ. არგენტინასთან თამაშის წინ კი თავად კეტამ უნდა თქვას, შეძლებს თუ არა თამაშს.

სსრკ-ს ოლიმპიურმა ნაკრებმა არგენტინის ტრადიციულად ძლიერ გუნდთან პირველი მატჩიდან ორი დღის შემდეგ ითამაშა და 2:1 მოიგო. კეტა, რა თქმა უნდა, მოედანზე იყო.

„ეს უკვე ტეგუში მოხდა, პუსანთან შედარებით ჩრდილოეთით, სადაც უფრო გრილოდა და წვიმაც კი წამოვიდა. ამან ბევრი რამ შეცვალა. გაუსაძლისი სიცხე აღარ გვბოჭავდა. ცამეტქაცვიანი ბუცების ნაცვლად ექვსქაცვიანის ჩაცმა გახდა შესაძლებელი — პუსანის ხრიოკზე ფეხის მოსაჭიდებლად ცამეტქაცვიანი უნდა გცმოდა. თან, ჩვენი მაშინდელი ნაკრები მეტწილად იმ ფეხბურთელებისგან იყო დაკომპლექტებული, წვიმიან ამინდში რომ იყვნენ თამაშს ნაჩვევი. ჩვევად გვქონდა — დღეს ჩვენი ამინდიაო, დავიძახებდით და წავიდოდა ხისტი თამაში, პადკატებითა და სხვა ილეთებით“.

და ტრავმა? ტრავმა ისევ ჯიქივით იდგა: კეტაშვილი ოლიმპიელად გამაყუჩებლებისა და ექიმების მკაცრი ზედამხედველობის წყალობით რჩებოდა.

ჯგუფური ეტაპის მესამე და ბოლო შეხვედრა საბჭოთა ფეხბურთელებს ამერიკის შეერთებული შტატების ნაკრებთან ჰქონდათ. გელა იმ თამაშს მოკლედ იგონებს: იოლად მოვუგეთ. აქ, უფრო დაწვრილებით არაფერია მოსაყოლი. სსრკ-ს ფეხბურთელები მეოთხედფინალში ჯგუფური პირველი ადგილით გავიდნენ. მეორეზე არგენტინა იყო.

მეოთხედფინალში „წითლებს“ „ყვითლები“ ერგოთ — ავსტრალიის ნაკრები.

„ავსტრალიასთან მანამდე არასდროს მეთამაშა და უნდა გითხრათ, რომ ამ გუნდმა მშვენიერი შთაბეჭდილება დატოვა. ეს ევროპიდან ჩასული ხალხის შექმნილი ქვეყანაა და ფეხბურთსაც ევროპულს თამაშო-

თბილისი, დიღმის საწვრთნელი ბაზა. ძველი და ახალი თაობის დინამოელები

ბენ, ძალისმიერად, სწრაფად," — იგონებს კეტაშვილი, თუმცა ანგარიში საბჭოელთა დიდ უპირატესობაზე მეტყველებს — 3:0.

და აი, ავსტრალიასთან გამარჯვების შემდეგ დგება იტალიის ჯერი. ამ მატჩის შესახებ ზემოთ უკვე მოგახსენეთ, თუმცა ორიოდ სიტყვის დამატება აქაც შეიძლება: გელა კეტაშვილისთვის ეს უკვე ზედიზედ მეხუთე შეხვედრაა შეცვლის გარეშე. ასეთი დატვირთვების ატანა კი თანდათან გაუსაძლისი ხდება. ბიშოვეცი ამას გრძნობს და კეტაშვილს საგანგებოდ უხმობს ამ თემაზე სასაუბროდ. მწვრთნელს აინტერესებს, შეძლებს თუ ვერა ქართველი სტოპერი ბოლომდე გაძ-



გელა კეტაშვილი:
„ოლიმპიადამდე ოთხი თვით ადრე, 5 მაისს, დნეპროპეტროვსკის „დნეპრთან“ საბჭოთა კავშირის ჩემპიონატის შეხვედრაში ძალიან მძიმედ დავშავდი. ეს თბილისში მოხდა. ტრავმა იმდენად სერიოზული იყო, რომ ცენტრალური ტელევიზიით, ყოველკვირეულ „საფეხბურთო მიმოხილვაში“ ჩემი ამბავი ცალკე სიუჟეტად გადასცეს.“

გელა კეტაშვილი: „საბჭოთა კავშირის ნაკრების მწვრთნელი ანატოლი ბიშოვეცი განსაკუთრებით მენდობოდა და ამას ღიად ამბობდა. მან იცოდა ჩემი ქართული ხასიათის, შეუპოვრობის ამბავი. მან იცოდა, რომ მწვრთნელის ნებისმიერ დავალებას უსიკვდილოდ შევასრულებდი და, ფეხნატკენი თუ ჯანმრთელი, მოედანზე ბოლომდე დავიხარჯებოდი.“

ლებას? კეტაშვილის პასუხი ტკივილით არის სავსე. უკვე ყველაფერი ჭირს.

— რამენაირად უნდა გაძლო. შენს მაგივრად სხვას ვერ ვათამაშებ, ხომ იცი, დაცვითი სისტემა მთლიანად შენზე მაქვს აწყობილი, — ეუბნება მწვრთნელი.

დაცვითი სისტემა შენზე მაქვს აწყობილი... სხვა სიტყვებით — შენ ჩემი საყრდენი ფიგურა ხარ... როგორ გინდა, ამის შემდეგ კიდევ ერთხელ არ აჯობო საკუთარ თავს, ტკივილს, ერთხელაც არ ჩაისუნთქო და ბრძოლაში თავით არ გადაეშვა, მით უფრო, რომ ოლიმპიურ ოქრომდე სამი დღე და ორი თამაშიღაა დარჩენილი. ზურაბ ორჯონიკიძე მთლიანად კეტაშვილის ფეხის მოვლაზეა გადართული. გელა, ცხადია, ვერ ვარჯიშობს. ბიჭები საღამოობით მის ოთახში იკრიბებიან.

„იტალიასთან ისეთი თამაში იყო, ვერც იმას ვიტყვი, რომ ჩვენ დავჯაბნეთ და ვერც იმას, რომ მათ გვაჯობეს. უბრალოდ, ასე მოხდა: ძირითადი დრო ფრედ დამთავრდა, დამატებითში კი ჩვენ გავიმარჯვეთ," — იხსენებს გელა.

და ფინალი: სსრკ — ბრაზილია. ეს მატჩი, ბუნებრივია, უკვე არც პუსანშია და არც პეგუში, ფინალი სეულის ოლიმპიურზეა, სრულიად თამაშების მთავარ სარბიელზე. შესაბამისად, საბჭოელ ფეხბურთელთა გუნდი დისლოკაციის ადგილს იცვლის — სამხრეთ კორეის დედაქალაქისკენ მიემართება და ოლიმპიურ სოფელში ბანაკდება.

აქ კი, წამით, მოდით, მთავარ თემას მოვწყდეთ და ერთი გულუბრყვილო კითხვა დავსვათ: რა არის ოლიმპიური სოფელი? ამ კითხვაზე, ბუნებრივია, პასუხის გაცემა ბავშვსაც შეუძლია. ოლიმპიური სოფელი გახლავთ ტერიტორია, სადაც თამაშების მასპინძლები აშენებენ კოტეჯებს, ქმნიან, თუნდაც დროებით, თუნდაც მუყაოს ინფრასტრუქტურას, მაგრამ ეს ყველაფერი შინაარსითა და მოწოდებით ჯადოსნურია. აქ, „სოფელში", ოლიმპიური თამაშების დღეებში ერთად ცხოვრობენ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის სპორტსმენები. ისინი

სწორედ აქ იცნობენ ერთმანეთს, აქ მეგობრდებიან და აქედან მიდიან სარბიელებზე ერთმანეთის დასამარცხებლად. აქ, ერთად იყრის თავს ქალი და კაცი, მოჭიდავე და მოცურავე, მძლეოსანი და ტყვიის მსროლელი. აქ, უცხო გარემოა, სრულიად განსხვავებული ყველა სხვა გარემოსგან, თუნდაც იმისგან საბჭოთა ფეხბურთელებს პუსანში რომ ჰქონდათ. სეულის ოლიმპიურ სოფელში ჩასულ გელა კეტაშვილს გულმა ქართველი ოლიმპიელებისკენ გაუწია, ლიტველმა არმინას ნარბეკოვასმა ლიტველებისკენ გასწია, უკრაინელებმა უკრაინელებს მიაშურეს და ასე შემდეგ.

„ჩუმ-ჩუმად წრუპვაც დავიწყეთ, — ეცინება გელას, — არადა, უკვე 28 სექტემბერია, 1 ოქტომბერს ფინალი გვაქვს. დარბის გადარეული ბიშოვეცი მთელ „სოფელში“ და ცდილობს თითო-თითო მოგვაგროვოს. ბოლოს, როგორც იქნა, შეგგვკრიბა და...“

...1988 წელს საბჭოთა კავშირს სამხრეთ კორეასთან დიპლომატიური ურთიერთობა ჯერ კიდევ არ ჰქონდა აღდგენილი. გეხსომებათ, სამი წლით ადრე კომუნისტებმა კორეელთა სამოქალაქო თვითმფრინავი, ხალხით სავსე „ბოინგი“ ჩამოაგდეს, საჯაშუშოდ ჩვენს ტერიტორიაზე იყო გადმოპარულიო. დიდი სკანდალი მოჰყვა ამ ტრაგიკულ შემთხვევას. სეულის ოლიმპიადაზე გამგზავრებულ საბჭოთა მოქალაქეთა ნაწილი კორეის დედაქალაქიდან 40 კილომეტრში, ინჩხონის პორტში ღუზაჩაშვებულ „მიხაილ შოლოხოვზე“ ცხოვრობდა — ასე ვთქვათ, „ჩვენები“ „ჩვენს“ ტერიტორიაზე იყვნენ. და რა ხალხი იყო „მიხაილ შოლოხოვზე“? ბუნებრივია ელიტა, ისინი, ვისაც უკვე დასუსტებული, მაგრამ მაინც სუსხიანი რეჟიმის პირობებში ქვეყნიდან გაესვლებოდა: მომღერლები, მსახიობები, სხვანი და სხვანი. მაგალითად, ესტრადის ვარსკვლავთაგან, „მიხაილ შოლოხოვზე“ ცხოვრობდნენ ალა პუგაჩოვა, ვლადიმირ დობრინინი, ვლადიმირ ვინოკური, გენადი ხაზანოვი... მათ 147 ადამიანისგან შემდგარი მომსახურე პერსონალი დასტრიალებდა თავს, მეტწილად — ახალგაზრდა გოგონები.

მაგრამ, ანატოლი ბიშოვეცი აღარაფერს დაგიდევდათ. გემზე ფეხბურთელები ერთად მაინც ეყოლებოდა შეკრებილი, ეს კი ნამდვილად სჯობდა იმას, რაც ოლიმპიურ სოფელში ხდებოდა.

კეტაშვილი: „ბიშოვეცმა კრება მოიწვია და გვითხრა — აი, ბიჭებო, ფინალამდე მოვედით. ახლა ცოტაც უნდა გავიჭირვოთ. გავიმარჯვებთ თუ ვერა, გამოჩნდება, მაგრამ ფაქტი ერთია, ამ თამაშის შემდეგ ჩვენი ნაკრები იშლება...

მწვრთნელის სიტყვებმა მაგრად იმოქმედა. ბიჭები ხომ სწორედ ამ კაცმა შეგვაკავშირა, დაგვაახლოვა და გაგვაერთიანა. ჩემსა და ლოსევს შორისაც კი აღარ იყო რაიმე წყენა. ყველანი ერთ მუშტად ვიყავით შეკრულები. თანაც, ოლიმპიური ჩემპიონის კვარცხლბეკს ერთი ხელის გაწვდენაზე მივუახლოვდით და უკან დახევა როგორ შეიძლებოდა. ერთმანეთს პირობა მივეცით, ბოლოჯერ გაგვეღო ყველაფერი და საკუთარი თავისთვის გვეჯობნა“.

კრების შემდეგ ანატოლი ფიოდოროვიჩმა კეტა ცალკე იხმო და უკვე მერამდენედ ჰკითხა: „ფეხი როგორ არის?“

— სულაც კოჭში რომ გადამაჭრან, ერთ თამაშს მაინც გავძლებ, — იყო პასუხი. შემდეგ იყო, ბიშოვეცის კაიუტაში შემოდი, მწვრთნელს შენთვის საჩუქარი აქვსო. გელა კეტაშვილს ყურადღება ესიამოვნა...

ხვლიკი

23 წლის გელა კეტაშვილი ვარსკვლავი იყო. აბა, სხვა რა ჰქვია საბჭოთა კავშირის იუნიორთა, ჭაბუკთა, ახალგაზრდული და ოლიმპიური ნაკრებების უცვლელ წევრს, გრანატკინის ტურნირისა და 1985 წლის ახალგაზრდული მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილეს, იმ კონკრეტული დღისთვის კი უკვე ოლიმპიური თამაშების ფინალისტს. დიახ, ის ვარსკვლავი გახლდათ და ამ ჭეშმარიტების მტკიცებით თავს ნამდვილად

გელა კეტაშვილი თავის ძირითად საქმეს წარმატებით უთავსებდა ფლანგურ გარღვევებს

არ შეგაწყენდით, ერთი კონკრეტული მიზანი რომ არ გვქონდეს დასახული: გვინდა კარგად წარმოიდგინოთ, ბედს, ნაირ-ნაირ კენჭისყრებსა და სხვადასხვა შეჯიბრებათა კალენდრებს გელა რა დონისა და გაქანების მოწინააღმდეგეებთან ჰყავდა დაპირისპირებული. გვარიანად ახალგაზრდა კეტაშვილმა უკვე ძალიან კარგად იცოდა 80-იანი წლების ამომავალ ვარსკვლავთა ქიციც და ქიცმაცურიც, თუმცა იმ დღეს, 1988 წლის 1 ოქტომბერს კიდევ ერთი გამოცდა და გამოცდასთან ერთად დიდი შთაბეჭდილება ელოდა — რომარიო დე სოუზა ფარია.

1966 წლის 29 იანვარს დაბადებული რომარიო დე სოუზა ფარია დღევანდელ საინტერნეტო თუ ნაბეჭდ ენციკლოპედიებში შეტანილია როგორც ლეგენდარული ბრაზილიელი ფეხბურთელი. როცა ფეხბურთზე წერ და სიტყვა ამ კაცის სახელს მოიტანს, ძნელია თავი შეიკავო მასზე ვრცელი საუბრისგან, მაგრამ ამჯერად ეს საუბარი ძალიან შორს წაგვიყვანდა და ჩვენი თხრობის მთავარ ხაზს აგვაცილებდა. მაშინ მოგვიწევდა ვრცელი აღწერა პროფესიული კარიერისა, რომელიც 1985 წელს „ვასკო და გამაში“ დაიწყო და ამ სიტყვების წერის დროს, 2007 წელს ჯერ კიდევ გრძელდება. მოგვიწევდა ოფიციალურ შეხვედრებში გატანილი ათასი გოლის, იოჰან კრუიფის დროინდელ ფანტასტიკურ „ბარსელონაში“ ზღაპრულად თამაშის და, რასაკვირველია, 1994 წლის მსოფლიოს ჩემპიონობის ამბის მოყოლა. და კიდევ, რომარიოზე რომ დაგვეწყო საუბარი, აუცილებლად უნდა გვეთქვა მისი მეწყვილის, მისებრ 1994 წლის მსოფლიო ჩემპიონის ბებეტოს შესახებაც. უნდა გვეთქვა, რომ რომარიოს „მარჯვენა ხელმა“ ან „ფეხმა“ თავისი წილი კარიერა 1983-ში „ვიტორიაში“ დაიწყო, რომ მერე იყო „ფლამენგო“, „ვასკო და გამა“, „დეპორტივო ლა კორუნია“ და კიდევ ცხრა გუნდი, სულ ცამეტი. უნდა გვეთქვა ამ ორი დიდი ბრაზილიელის სანაკრებო კარიერის შესახებაც რადგან... ბებეტო და რომარიო ჯერ კიდევ სეულის ოლიმპიადის ფინალში იდგნენ მხარდამხარ, რაც სხვა სიტყვებით ამას ნიშნავს — გელა კეტაშვილის პირისპირ.

მაგრამ იმ დღეს კეტაშვილს ბებეტო არ აინტერესებდა, რადგან ანატოლი ბიშოვეცისგან საოცარი საჩუქარი ჰქონდა მიღებული.

„მე მანამდე ასეთი მოწინააღმდეგე არ მყოლია. ხვლიკს უფრო ადვილად გამოედევნებოდი, ვიდრე რომარიოს, — იხსენებს ქართველი ოლიმპიური ჩემპიონი, — ნორმატივების და ტესტების ჩაბარება ყოველთვის მძულდა. ვერ ვიტანდი კროსს, 7X50-ს, კუპერის ტესტს. მწვრთნელებს ყოველთვის იმას ვთხოვდი, ნორმატივების ჩაბარებას მირჩევნია მოედანზე მამალი გაუშვათ და იმას გამოვეკიდო-მეთქი, მაგრამ რომარიო მამალზე მამალი და ნამდვილი საშინელება იყო“.

და კიდევ, ბიშოვეცის დავალება ერთ ფრიად სპეციფიურ დეტალს შეიცავდა — კუთხურების დროს მეურვეობის სქემა იცვლებოდა, რომარიოსთან ლოსევი გადადიოდა, ახტომის ოსტატი კეტაშვილი კი მაღალ სერჟინიოსთან დგებოდა. ჰოდა, სწორედ ამას მოჰყვა 29-ე წუთზე გოლი საბჭოთა კავშირის ნაკრების კარში:

კუთხურია. მწვრთნელის დავალების შესაბამისად, კეტაშვილმა „თავისი კაცი“ ლოსევს გადააბარა, თავად კი სერჟინიოსთან გადავიდა. რომარიოს ლოსევი დაუდგა. ბრაზილიელებმა ბურთი ჩამოაწოდეს. ხვლიკივით რომარიო ლოსევის ზურგსუკნიდან გამოვარდა, მეურვისგან უმალ გათავისუფლდა, ბურთი მიიღო და ანგარიშიც გახსნა.

ყველაფერი წამში მოხდა.

კეტაშვილმა ძალიან მოიწყინა. გოლი შეაგდო კაცმა, ვისაც მთელი ნახევარი საათია სწორედ ის დასდევდა. ხომ უდანაშაულო იყო, მაგრამ მაინც შეურაცხყოფილად იგრძნო თავი.

პირველი ტაიმი ასე დამთავრდა, 0:1. შესვენებისას კეტამ ვეღარ მოითმინა და „ის კაცი“ ბიშოვეცს კატეგორიულად „თავიდან ბოლომდე“ მოსთხოვა.

— კარგი, შენი იყოს, ოღონდ მეორე ტაიმში მინდორზე აღარ უნდა დავინახო, — დაყაბულდა ფიოდოროვიჩი.

გელა კეტაშვილი: „საბჭოთა კავშირის იუნიორთა ნაკრებშიც ორი ნომერი ვიყავი და ჭაბუკთა ნაკრებშიც, ახალგაზრდულში კი ამ მაისურით ვკაპიტნობდი კიდეც.“

მეორე ტაიმი საბჭოთა კავშირის ნაკრებისთვის კარგად აეწყო. მე-60 წუთზე ალექსეი მიხაილიჩენკოს ინდივიდუალური გარღვევა ბრაზილიელთა საჯარიმოში მისი წაქცევით მთავრდება. ფრანგი მსაჯი ბიგე თეთრი წერტილისკენ უთითებს. ეს წერტილი კლაუდიო ტაფარელის კარის ხაზიდან თერთმეტ მეტრშია. პენალტს იგორ დობროვოლსკი არტყამს, ანგარიში თანაბრდება. ნელ-ნელა საქმე დამატებითი დროისკენ მიდის. ოლიმპიური ჩემპიონის ვინაობის გარკვევამდე სულ უფრო და უფრო ცოტა რჩება. სათადარიგოთა სკამიდან ზურაბ ორჯონიკიძე უკვე ყოველ წუთს ყვირის: ფეხი რას შვრება, გელა? უძლებ? გაძლება კი მეტისმეტად ძნელი ხდება. კიდევ კარგი, საფინალო სასტვენი ამოსუნთქვის საშუალებას იძლევა.

შემდეგ დაიწყო დამატებითი დრო. 103-ე წუთზე იური სავიჩევმა მეორე შეაგდო. მოაედანზე დიდი ორომტრიალი გაჩაღდა, ყველაფერი დაიკარგა დროის ჩათვლით. კეტაშვილს აუტანლად ასტკივდა ფეხი.

და ისევ ბიგეს სასტვენი. მორჩა... გელა კეტაშვილმა ხელები აღმართა, თავისიანებისკენ გაიქცა. მირბის ბედნიერი, გახარებული, ამაყი, მაგრამ თან მიაცილებს უცნაურად გაკვირვებულ ბრაზილიელთა და თანაგუნდელთა მზერა.

— რა გიხარია? — ეკითხება მიხაილიჩენკო.

— შენ რა, არ გიხარია?ოლიმპიური ჩემპიონები ვართ!

— რა ჩემპიონები, რის ჩემპიონები, კიდევ თხუთმეტი წუთი გვაქვს სარბენი...

კეტაშვილი: „აი, ის თხუთმეტი წუთი იყო კოშმარი. ასეთი არასდროს არაფერი განმიცდია. ბრაზილიელებმა ბურთით გვცემეს. სულ ჩვენს საჯარიმოსთან იყო ორომტრიალი, განუწყვეტელი დაძაბულობა და ხიფათი. დიმიტრი ხარინმა ითამაშა დიდებულად, საოცარი დარტყმები მოიგერია“.

მერე კი მართლა დამთავრდა.

...ზურაბ ორჯონიკიძემ კეტაშვილისკენ გაიხედა, თავიდან იყოყმანა, მერე კი ჩანთა დააგდო, გაიქცა და ზურგზე შეახტა...

...გასახდელში სამი ვედრო შამპანური შეიტანეს და პირდაპირ სამასაჟო მაგიდაზე დადეს. ბიჭებმა პირდაპირ ვედროებში ჩაყვეს თავი. შამპანურში ჭყუმპალაობდნენ...

...გემზე დაბრუნებულ ჩემპიონებს, რუსული ტრადიციის თანახმად, „ხლებ-სოლით“ შეხვდნენ...

მაგრამ, ჰოი, საოცრებავ! „მიხაილ შოლოხოვზე“ რაღაც უცნაური სიჩუმეა, იქაურობას რაღაც აკლია. ნეტავ რა? ბიჭებმა მიმოიხედეს. რა ხდება?

სად არიან გოგოები? სად არის მომსახურე პერსონალი? სად არის ის 147 ქალი, წინა დღეებში აქ რომ ფუსფუსებდა?

კაპიტანს გადაუმალავს...

საკითხის მოგვარება კეტაშვილმა, მიხაილიჩენკომ და კიდევ რამდენიმე ბიჭმა ითავეს. დელეგაცია „მიხაილ შოლოხოვის“ კაპიტანს კაიუტაში ეწვია. მოლაპარაკებები წარმატებით დასრულდა. გემს ხალისი დაუბრუნდა. ყველამ მოულხინა — მსახიობებმა, ესტრადის ვარსკვლავებმა, სპორტსმენებმა და მომსახურე გოგონებმა.

„მეორე დღეს ოლიმპიურ სოფელში ვიყავით დაბარებული. ჩვენთვის, როგორც თამაშების ჩემპიონებისთვის, სპორტის დამსახურებული ოსტატის მოწმობები უნდა გადმოეცათ, მაგრამ... თავი მხოლოდ სამმა კაცმა ასწია. ფეხი? ფეხი აღარ მახსოვდა, თან ალკოჰოლმაც გამიყუჩა...“

შემდეგ კი იყო გრანდიოზული დახვედრა მოსკოვში და ხალხით სავსე თბილისის აეროპორტი.

„ჩემს მაშინდელ განცდას სიტყვებით ვერ გადმოსცემ, ასეთი რამ ადამიანს თავად უნდა გადაგხდეს,“ — გვეუბნება გელა და იოლი მისახვედრია, რომ მართალია.

კეტაშვილს, ეს ყველაფერი 1988 წლის შემოდგომაზე გადახდა.

1988

1988... ბევრისთვის „გუშინდელი დღე'', ბევრისთვის დაბადების თარიღი და ბევრისთვისაც უხსოვარი დრო. მაინც რა წელიწადი იყო ეს 1988? მოდით, ორი სიტყვით გავიხსენოთ. ვფიქრობ, ასე უფრო ჩავწვდებით გელა კეტაშვილის საკმაოდ ეკლიანი კარიერისა და ბიოგრაფიის ნიუანსებს — ჩვენ ხომ ყველანი კონკრეტული წარსულიდან მოვდივართ.

რაკიღა ფეხბურთელზე ვსაუბრობთ, ფეხბურთით დავიწყოთ. 1988 წელს ფეხბურთში სამი დიდი შეჯიბრება გაიმართა: აფრიკის თასი, რომელიც კამერუნმა მოიგო, ოლიმპიადა, რომელზეც ვსაუბრობთ და ევროპის ჩემპიონატი. ეს სწორედ ის ევროპის ჩემპიონატია, რომლის ფინალშიც ლეგენდარულმა მარკო ვან ბასტენმა საბჭოთა კავშირის ნაკრების კარში ჯადოსნური გოლი გაიტანა. მანამდე რუუდ გულიტს ჰქონდა ერთი შეგდებული და ევროპის ჩემპიონი ჰოლანდია გახდა. ფინალში ქართველ თენგიზ სულაქველიძეს არ უთამაშია — სათადარიგოთა შორის იჯდა, თუმცა სხვა თამაშებში მონაწილეობა მიიღო და კონტინენტის ვიცე-ჩემპიონი გახდა.

1988 წელს, ზაფხულის ოლიმპიადის გარდა, კალგარიში ზამთრის ოლიმპიადაც გაიმართა, თუმცა დავუბრუნდეთ ფეხბურთს:

საბჭოთა კავშირის ჩემპიონი გახდა „დნეპრი", სწორედ ის, რომელთან შეხვედრაშიც დაშავდა გელა კეტაშვილი.

მთელი დედამიწის ქომაგთა გასაკვირად, 1994 წლის მსოფლიო ჩემპიონატის მასპინძლობის უფლება ფიფამ აშშ-ს მისცა.

ევროპის ჩემპიონთა თასი „პსვ ეინდჰოვენმა" მოიგო, ფინალში, პენალტებით დაამარცხა „ბენფიკა," თუმცა დეკემბერში, საკონტინენტთაშორისო თასზე ურუგვაის „ნასიონალმა" პენალტებითვე აჯობა.

უეფას თასის ბედიც პენალტებმა გადაწყვიტა: ლევერკუზენის „ბაიერმა" და „ესპანიოლმა" 3:3 ითამაშეს, პენალტებში კი გერმანულმა გუნდმა იმარჯვა.

ალექსანდრე ჩივაძე
და გელა კეტაშვილი

გელა კეტაშვილი და ნოდარ ხიზანიშვილი

თასების მფლობელთა თასის ფინალში „მეხელენმა“ „აიაქსს“ აჯობა — 1:0.

ბუნებრივია, 1988 მხოლოდ ფეხბურთით არ სუნთქავდა, ამიტომ, ეპოქა უკეთ რომ წარმოვიდგინოთ, კინოზეც ვთქვათ. ეს ის წელიწადია, როდესაც მსოფლიოში ტრიუმფით გამოვიდა „წვიმის კაცი“, თან ფილმი თან მულტფილმი ბაჭია როჯერის შესახებ, ედი მერფის „ამერიკაში ჩამოსვლა“, არნოლდ შვარცნეგერისა და დენი დე ვიტოს „ტყუპები“, ბრუს უილისის „კერკეტი კაკალი“, „ნიანგი დანდი 2“, მარტინ სკორსეზეს „ქრისტეს უკანასკნელი ცთუნება“ და სხვა...

დიდი წელიწადი იყო დიდ პოლიტიკაშიც: სსრკ-მ 1 იანვარს ოფიციალურად დაიწყო „პერესტროიკა“, 15 მაისს კი ავღანეთიდან ჯარების გამოყვანასაც შეუდგა.

სექტემბერში ესტონეთში იწყება გამოსვლები დამოუკიდებლობის მოთხოვნით.

8 ნოემბერს ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტად ირჩევენ ჯორჯ ჰერბერტ უოლქერ ბუშს – მამა ბუშს.

ნოემბერშივე ესტონეთის სსრ-ს უზენაესი საბჭო აცხადებს ქვეყნის სუვერენიტეტს, თუმცა სრული დამოუკიდებლობის გამოცხადებას ვერ ბედავს. მოგვიანებით, ქვეყნის ოფიციალურ ენად ესტონური მტკიცდება.

7 დეკემბერს სპიტაკში 7-ბალიანი მიწისძვრაა. იღუპება დაახლოებით 25 ათასი ადამიანი, 400 ათასი უსახლკაროდ რჩება.

და ბოლოს, მივადექით იმას, რისი თქმაც ყველაზე მეტად გვინდოდა, თუმც შეიძლება სულ ორიოდ წინადადებაშიც ჩავტიოთ. ეს ის არის, საიდანაც მაშინ აგორდა და რამაც ყველა ქართველის, მათ შორის კი, ბუნებრივია, გელა კეტაშვილის ცხოვრებასაც დაასვა დაღი: 12 ნოემბერს თბილისში პირველი ხალხმრავალი დემონსტრაცია და მიტინგი გაიმართა. მსვლელობა უნივერსიტეტის პირველი კორპუსიდან დაიწყო, ჭავჭავაძის პროსპექტი განვლო, ვაკე-საბურთალოს გზას შეუყვა და იპოდრომთან მივიდა. მიტინგი იპოდრომზე გაიმართა. იმ მიტინგზე

სსრ კავშირის
იუნიორთა ნაკრები.
მარცხნიდან პირველი —
გუნდის კაპიტანი
სოსო ჭედია,
მესამე — გელა კეტაშვილი

СЛАВА ТРУДУ!
СССР
СССР
СССР
СССР
СССР

ერთად იყვნენ ეროვნული მოძრაობის სხვადასხვა ფრთის წარმომადგენლები. იმ დღეს, უკვე ძალიან ხმამაღლა გაისმა: გაუმარჯოს დამოუკიდებელ საქართველოს! ძირს რუსეთის დამპალი იმპერია!

რუსეთის დამპალი იმპერია... შესაძლოა უხეშად ჟღერს, მაგრამ ის მართლა დამპალი იყო. ოღონდ... იმავდროულად ეს ის ქვეყანა გახლდათ, რომლის ოლიმპიურმა ნაკრებმა თვენახევრით ადრე ოლიმპიური ჩემპიონის ტიტული მოიგო და რომლის წარმატებისთვისაც ქართველმა ვარსკვლავმა გელა კეტაშვილმა საკუთარ თავს, საშინელ ტკივილებს, მარტოობას და მეტოქეებს სძლია.

კეტაშვილი, რა თქმა უნდა, გმირი იყო, მაგრამ წელიწადი იდგა 1988. სხვა ეპოქა რომ ყოფილიყო, ქართველი ვარსკვლავის კარიერა სხვანაირად გაგრძელდებოდა, აქ კი, სულ ცოტა ხანში, ჯერ საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი ჩაბარდა ისტორიას, მერე კი თვით საბჭოთა კავშირი.

1988... ნოემბრის ბოლოს, გიორგობაზე, თბილისში, რუსთაველის პროსპექტზე, მთავრობის სასახლის წინ შიმშილობის აქცია და უწყვეტი მიტინგები გაიმართა. 9 აპრილამდე თითზე ჩამოსათვლელი თვეებიღა რჩებოდა.

აღარასოდეს იძნები ოცდახუთის

ელგუჯა ბერიშვილის წიგნიდან „დიდი ბურთაობა“: „1990 წლის 15 თებერვალი. თბილისი. ჭადრაკის სასახლე. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის დამფუძნებელი ყრილობა.

ყრილობის თავმჯდომარე: გამოიკვეთა ორი პოზიცია. პირველი — ეროვნული ჩემპიონატი უნდა გაიმართოს და ამაში ყველანი შევთანხმდით. მეორე — დღეიდან ვთქვათ უარი საკავშირო ჩემპიონატში მონაწილეობაზე, თუ კიდევ ერთი წელი მოვიცადოთ (ხმაური). ეს ამბავი ახლავე, კენჭისყრით უნდა გადავწყვიტოთ...

ხმა დარბაზიდან: არავის უთქვამს, ერთი წელიწადი დავიცადოთო.

თავმჯდომარე: ვიმეორებ, პირველი წინადადება ასეთია — დამოუკიდებელი ფედერაცია ახლავე უარს იტყვის საქართველოს საფეხბურთო გუნდების საკავშირო ჩემპიონატში მონაწილეობაზე. მეორე — ჩვენი გუნდები კიდევ ერთი წელი ითამაშებენ საკავშირო ჩემპიონატში...

...ღია კენჭისყრის წინააღმდეგი ხომ არავინაა? არა. ვინ არის პირველი წინადადების მომხრე?

ხმა დარბაზიდან: გარკვევით ჩამოაყალიბეთ.

თავმჯდომარე: დღეს მივიღებთ წესდებას, დავაფუძნებთ დამოუკიდებელ ფედერაციას, რომელიც უარს იტყვის საკავშირო ჩემპიონატში მონაწილეობაზე. საქართველოს გუნდები მხოლოდ ეროვნულ ჩემპიონატში ითამაშებენ.

ხმა დარბაზიდან: დღეიდან?

თავმჯდომარე: დღეიდან (ტაში)! მოდი, ჯერ კენჭი ვუყაროთ მეორე წინადადებას — ვინ არის მომხრე, რომ კიდევ ერთი წელი ვითამაშოთ საბჭოთა კავშირის ჩემპიონატში?... თხუთმეტი კაცი. წინააღმდეგი?... უმრავლესობა. თავი ვინ შეიკავა? — სამმა დელეგატმა. ხმების აბსოლუტური უმრავლესობით გადაწყდა: ფეხბურთის ახალი, დამოუკიდებელი ფედერაცია შეიმუშავებს ეროვნული ჩემპიონატის დებულებას. დღეიდან უარს ვაცხადებთ საბჭოთა კავშირის ჩემპიონატში მონაწილეობაზე!...

(მქუხარე ტაში. ყველანი ფეხზე დგებიან. დარბაზში ფრიალებს ეროვნული დროშები).

თავმჯდომარე: შევისვენოთ ათი წუთი.

ეს ფრაგმენტი ყრილობის სტენოგრაფიული ჩანაწერიდანაა აღებული.

სტენოგრაფისტს, სამწუხაროდ, ზუსტი დრო არ აღუნიშნავს.

კენჭისყრა, დაახლოებით, 17 საათზე შედგა.

ვიდრე ეს წუთი დადგებოდა, ყრილობამდე და მის შემდეგ ბევრი საინტერესო ამბავი მოხდა.“

სსრ კავშირის ნაკრები XXI ოლიმპიურ თამაშებზე. ზის მარცხნიდან პირველი — გელა კეტაშვილი. სეული, 1988 წელი

გელა კეტაშვილის ცხოვრებაში კი ტრაგედია დატრიალდა: ოლიმპიურმა ჩემპიონმა მამა და პაპა ერთ დღეს დაკრძალა.

...ქუჩებში დროშები ფრიალებს. საქართველო დამოუკიდებლობისთვის იბრძვის, დემონსტრაციების და გაფიცვების ტალღა გარშემო ყველაფერს ლეწავს, ძველი ცხოვრება ინგრევა — უმოწყალოდ და სამუდამოდ... თავისუფლება მსხვერპლს მოითხოვს. ცხოვრების ორომტრიალთან პირისპირ შერჩენილი კეტაშვილიც ორ ცეცხლს შუაა. ერთი მხრივ, დღე ისე არ გავა, კიევის „დინამოსა“ და საბჭოთა კავშირის ნაკრების მწვრთნელმა ვალერი ლობანოვსკიმ რამდენჯერმე არ დაურეკოს.

„მოკიდე ცოლ-შვილს ხელი და ჩამოდი. შენ მე აქ მჭირდები, „დინამოშიც“ და ნაკრებშიც, ძირითად შემადგენლობაში ადგილი გარანტირებული გაქვს. კარს მსოფლიოს ჩემპიონატია მომდგარი...''

მეორე მხრივ, ასეთ დროს საბჭოთა კავშირის ნაკრების სახელით მსოფლიოს ჩემპიონატზე გამოსვლა არ შეიძლება.

არადა, 25 წლის აღარასოდეს იქნები. ფეხბურთელის კარიერა ხანმოკლეა, მსოფლიოს ჩემპიონატი კი მისი მწვერვალი.

გელას გრძნობები ანგრევენ. ამის გაძლება დღითი დღე ძნელდება. ვიღაცეებს ხმა მოაქვთ, თუ კეტაშვილი საქართველოდან წავა, ეროვნული მოძრაობის სახელით მოღალატედ გამოვაცხადებთო. სისხლი ტვინში ასხამს. ისინი სადმე, ხალხმრავალ მიტინგზე რაღაცას წამოროშავენ და შედეგებზე პასუხს აღარ აგებენ, შენ კი...

25 წლის კი მართლა აღარასოდეს იქნები. მამაც აღარ არის, მხარში რომ ამოგიდგეს, ერთადერთი სწორი რჩევა მოგცეს, კოშმარი შეგიმსუბუქოს.

და გელა კეტაშვილმა მსოფლიოს ჩემპიონატზე უარი თქვა. კარგად იცოდა, რასაც აკეთებდა. კარგად იცოდა, რომ 25 წლისა აღარასოდეს იქნებოდა. კარგად იცოდა, რომ ასეთ სიმაღლეს ცხოვრება აღარასოდეს შესთავაზებდა, მაგრამ... არ შეიძლებოდა. დიდი ქარტეხილების დრო იყო, „ქვემეხები ჰქუხდნენ'' და ჭურვები მუზებსაც ხვდებოდათ.

ერის მოღალატეო... ერთი წლის შემდეგ, 92-ის 30 დეკემბერს, სწორედ გარდაცვლილი მამის დაბადების დღეზე, გელამ თავისი ოლიმპიური ოქროს მედალი „ოქროს ფონდში“ მიიტანა — იარაღი გვაკლია, დავეხმაროთ ჩვენს მებრძოლებს, გავაძლიეროთ შეიარაღებული ძალები, მოუწოდებდნენ ხალხს ტელევიზიით. ერთი წლის შემდეგ კეტაშვილის ოლიმპიური მედალი სარფში, საქართველოსა და თურქეთის საზღვარზე მავან მანდილოსანს გასაყიდად გაჰქონდა.

„მას მერე ჩემი მედალი საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში დევს. სახელმწიფოს საკუთრებაა, მეუბნებიან,“ — აშკარად ნაწყენია ჩემპიონი და იმედოვნებს, რომ ადრე თუ გვიან, ბევრი სხვა ოლიმპიური ჩემპიონის მსგავსად, საკუთარ ჯილდოს საკუთარ კოლექციაში შეინახავს.

თუმცა ეს, როგორც მოგახსენეთ, მერე იყო, ჩვენ რომ აღვწერთ იმ ამბებიდან ერთი წლის შემდეგ, 1990 წელს კი გელა კეტაშვილმა მსოფლიოს ჩემპიონატზე თქვა უარი და კიდევ, 1990 წელს საქართველომ პირველი დამოუკიდებელი ჩემპიონატი ჩაატარა.

30 მარტი, თბილისი, მაშინ ჯერ კიდევ „დინამოს'' სტადიონი, „დინამო'' ფოთის „კოლხეთის'' წინააღმდეგ. ტრიბუნები შეივსო. ცას სწვდებოდა პატრიოტული შემართება, შვინდისფერი დროშები ტალღებად იშლებოდა ადამიანთა თავებზე, მაგრამ სადღაც გულის კუნჭულში იყო ეჭვიც, რომლის ხმამაღლა თქმასაც უმრავლესობა ერიდებოდა: „დინამომ“ რომ მოინდომოს „კოლხეთს“ ნებისმიერი ანგარიშით მოუგებს და საერთოდ, ჩემპიონატი საინტერესო ვერ იქნება, რადგან „დინამოს“ ყველასთან შედარებით ძალიან დიდი უპირატესობა აქვს.

დასამალი რაა და ეს მართლაც ასე იყო, მაგრამ... იმ დღეს არა. იმ დღეს განგებას სხვა რამ ჰქონდა ჩაფიქრებული. იმ დღეს ქართველებს, თითქოს უნდა დაენახათ, რომ მათი ჩემპიონატის დამოუკიდებლობა ამაო და უპერსპექტივო არ იყო. აბა, ახლა ვინ იტყვის, საერთო აღტყინებამ იმოქმედა თუ მიზეზი სხვა იყო, ვინ გააანალიზებს რატომ,

სოსო ჭედიამ და
გია გურულმა ტრაპიდანვე
ხელში აიტაცეს
ოლიმპიური ჩემპიონი
გელა კეტაშვილი.
თბილისის აეროპორტი,
1988 წელი

ქართველი ოლიმპიელები
— ვახტანგ იაგორაშვილი,
გელა კეტაშვილი,
ვლადიმერ გოგოლაძე და
ნინო სალუქვაძე
მოსკოველ
მაღალჩინოსანთან
ვიქტორ მირონენკოსთან
ერთად.
სეული, 1988 წელი

„დინამოში“ გადასული კეტაშვილი მზად იყო ახალი ცხოვრების დასაწყებად. ის ყურადღებით შეჰყურებდა 1981 წლის ვარსკვლავებს და მათგან ყველაფრის სწავლას ცდილობდა. მნიშვნელოვანი იყო თითოეული მოძრაობა, ფინტი, გადაადგილება, ოღონდ... როგორც გელა თავად ამბობს, მას ეს ყველაფერი თავისი ინტერპრეტაციით, თავისი ვარიანტით, კეტაშვილისებურად სჭირდებოდა. ის ხომ დაბადებით პროფესიონალი იყო

როგორ და რისთვის, მაგრამ ფაქტია, 90-ის 30 მარტს „დინამოს“ „კოლხეთმა“ მოუგო და შეხვედრის ერთადერთი გოლი თავის კარში გელა კეტაშვილმა გაიტანა.

„ამ გოლმა ფსიქოლოგიურად დამანგრია. აბა, წარმოიდგინეთ, საქართველოს დამოუკიდებელი ჩემპიონატების პირველ ისტორიულ შეხვედრაში, გადავსებული ტრიბუნების წინაშე საკუთარ კარში მაინც და მაინც მე, ოლიმპიურმა ჩემპიონმა გავიტანე გოლი. ამასთან შეგუება ძნელი აღმოჩნდა. მეტის გაძლება აღარ შემეძლო და გადავწყვიტე ფეხბურთიდან სულ წავსულიყავი.“

ორ თვეში გელას გადაწყვეტილება კიდევ უფრო განმტკიცდა — იტალიის სტადიონებზე მსოფლიოს ჩემპიონატი გახურდა, სწორედ ის, რომელშიც კეტაშვილი უნდა გამოსულიყო და არ გამოვიდა, ის, რომელიც ტელეეკრანიდან ყოველ საღამოს იღვრებოდა თავისი დამთრგუნველი მშვენიერებით და ის, სადაც საბჭოთა კავშირის ნაკრების დაცვაში გელა კეტაშვილის ადგილზე მასზე გაცილებით სუსტი ფეხბურთელი გამოდიოდა.

დანარჩენი უკვე ინერცია და ფორმალობა იყო. ცოტა ხანი ლანჩხუთის „გურიაში“, ცოტაც „თეთრ არწივში“... გახსოვთ ასეთი გუნდი? ალბათ, უფრო საბრძოლო ქვედანაყოფი გახსოვთ გია ყარყარაშვილის მეთაურობით. ჰოდა, ფეხბურთის გუნდიც ამ ფორმირებას ეკუთვნოდა და გელამ, როგორც ყარყარაშვილის მეგობარმა, გრიგოლ ცაავასთან ერთად ცოტა ხნით აქაც გააგორა ბურთი.

მაგრამ, მაგრამ, მაგრამ... გელა კეტაშვილი ხომ ვარსკვლავი იყო, ოლიმპიური ჩემპიონი. საზღვარგარეთ სახელი უკვე განთქმული ჰქონდა. კი ბატონო, გასაგებია, რომ მაშინ საქართველოსთვის საფეხბურთო აგენტთა ქსელი ჯერ უცხო ხილი იყო და ჩვენი ქვეყანა ევროპელთათვის, როგორც ფეხბურთელთა ბაზარი, არ არსებობდა, მაგრამ განა კეტაშვილი ამ ყველაფერზე ზევით, გამოსაჩენ სიმაღლეზე არ იდგა? გასაგებია, რომ საბჭოთა კავშირის ნაკრებში თამაში არ შეიძლებოდა,

პირველი დამოუკიდებელი ეროვნული ჩემპიონატის პირველი მატჩის (თბილისის „დინამო“ — ფოთის „კოლხეთი“) საზეიმო გახსნის ცერემონიალი. თბილისი, 1990 წელი

პირველი ეროვნული ჩემპიონატის პირველ მატჩში თბილისის „დინამოს“ გელა კეტაშვილი კაპიტნობდა

გასაგებია, რომ კიევის „დინამოც“ უხერხულობას გამოიწვევდა, მაგრამ „სამპდორია“? მარსელის „ოლიმპიკი“? „გალათასარაი“? „ბორდო“? „რომა“? განა ეს ის კლუბები არ არიან, გელა კეტაშვილის შეძენით რომ იყვნენ დაინტერესებულნი?

დიახ, სწორედ ასე გახლდათ. ამ კლუბებს კეტაშვილის ყიდვა სურდათ და ვინ იცის, ქართველი ოლიმპიური ჩემპიონი რომელიმე მათგანში რომ გადასულიყო მისი ცხოვრება სულ სხვანაირადაც გაგრძელებულიყო, მაგრამ... ეს უკვე ის თემაა, რომლის გახსენება თავად კეტაშვილს არ სიამოვნებს. რატომ? იმიტომ, რომ აქ, უკვე ქართველებმა დაწყვიტეს გული — რაც მოხდა მოხდა, წარსულს ვერ დააბრუნებო, ამბობს ჩემპიონი, რომელიც... 25 წლისა წავიდა ფეხბურთიდან.

„...მერე, საშინელ ავარიაში მოვყევი, ძლივს გადავრჩი ცოცხალი...“

და გელა კეტაშვილმა საგზაო პოლიციაში რიგით ავტოინსპექტორად დაიწყო მუშაობა.

კაცი და ბედი

1981... აი, წელიწადი! ამბობენ, ეპოქების ცვლასა და ადამიანთა თუ მთელი ქვეყნების წარმატება-წარუმატებლობას ვარსკვლავების განლაგება განაპირობებსო. ვინ იცის, იქნებ ყველაფერი მართლაც ციურ მნათობებზე იყოს დამოკიდებული, მაგრამ ამის კვლევა ჩვენი საქმე არ არის, ყოველ შემთხვევაში — ამ წიგნში. ჩვენ ასე ვთქვათ: 1981 ქართული ფეხბურთისთვის განსაკუთრებული წელიწადი იყო. იმ წელიწადს თბილისის „დინამომ“ ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასი მოიგო, ქუთაისის „ტორპედო“ სსრკ-ს საფეხბურთო ჩემპიონატის პირველი ლიგიდან უმაღლესში გადავიდა... იმავე წელიწადს, ოღონდ სეზონის შუაში, გელა კეტაშვილი ხსენებული „ტორპედოს“ ფეხბურთელი გახდა.

შუა სეზონი ვახსენეთ და არ გვინდა თანამედროვე მკითხველმა იმ შორეული 81-ის ზამთარი, იანვარი ან თებერვალი, პალტო და „უშანკა“ წარმოიდგინოს. საბჭოთა საფეხბურთო სეზონი სადღაც მარტში იწყებოდა და ოქტომბერ-ნოემბერში მთავრდებოდა, რასაც ჩემპიონატის გაზაფხული-შემოდგომის პრინციპით ჩატარებას ეძახდნენ. იმ ქვეყანაში სხვანაირად ვერც მოხერხდებოდა. ხომ ხედავთ, რუსეთი დღემდე ასე აკეთებს, პირველობას გაზაფხულზე იწყებს და შემოდგომაზე ამთავრებს. ანკი, როგორ გინდა შემოდგომით დაიწყო და გაზაფხულამდე იბურთავო იქ, სადაც ამ პერიოდში წელამდე თოვლია.

კი მაგრამ საქართველო?

საქართველო იმ დიდი ქვეყნის პატარა პერიფერია იყო და მეტი არაფერი.

ერთი სიტყვით, შუა სეზონის ხსენებაზე ზამთარს ნურავინ წარმოიდგენს — გელა კეტაშვილი ქუთაისის „ტორპედოში“ 1981 წლის ზაფხულში მივიდა. რამდენი წლის იქნებოდა მაშინ მომავალი ოლიმპიური ჩემპიონი? გადავთვალოთ: როგორც ზემოთ ვთქვით, გელა 27 სექტემბერს დაიბადა, 1965 წლის 27 სექტემბერს, ანუ „ტორპედოში“ რომ მიიღეს თექვსმეტისაც არ იყო. როგორია? ასეთ ასაკში საბჭოთა კავშირის პირველი ლიგის ერთ-ერთ ლიდერ გუნდში მისვლა და ადგილის დამკვიდრება ხუმრობა ხომ არ არის? იქნებ, ვინმემ არც დაიჯეროს, მაგრამ, ყველა, ვისაც სსრკ-ს ფეხბურთის დონე ახსოვს, დაგვეთანხმება, რომ ეს საკმაოდ რთული რამ გახლდათ და, პირდაპირ იმას მიანიშნებს, რომ თხუთმეტი-თექვსმეტი წლის კეტაშვილს მომავალი ვარსკვლავობა კოჭებში ეტყობოდა. და კიდევ, აქ, თქვენი ნებართვით, საკუთრივ ასაკის თავისებურებებზე აღარ გავაგრძელებთ სიტყვას. არ დავიწყებთ იმის განმარტებას, თუ რა ხდება, როდესაც ადამიანი თხუთმეტი-თექვსმეტი წლისა მოიყრება, მხოლოდ იმას ვიტყვით, რომ სად-სად და საქართველოში სწორედ ამ ასაკისთვის დამახასიათებელ სირთულეებს ძალიან ბევრი დიდებული საფეხბურთო კარიერა გაუნადგურებია.

და მაინც, გელა კეტაშვილი თბილისელია და... რატომ „ტორპედო“? მომავალი ვარსკვლავი, იმ დღიდან სულ რაღაც ხუთ წელიწადში ოლიმპიური ჩემპიონი, პირდაპირ თბილისის „დინამოში“ რატომ არ მიიწვიეს?

ვფიქრობთ, სწორედ იმიტომ, რომ ქვეყნად 1981 წელი იდგა, რაც იმას ნიშნავს, რომ თბილისის „დინამოში“ მოხვედრა, მით უმეტეს, თხუთმეტი-თექვსმეტი წლის ბიჭისთვის, შეუდარებლად და წარმოუდგენლად უფრო რთული გახლდათ, ვიდრე ნებისმიერ სხვა ეპოქაში. 1981 წელს საქართველოს პირველ გუნდში თამაშობდნენ ალექსანდრე ჩივაძე, თამაზ კოსტავა, შოთა ხინჩაგაშვილი, ვიტალი დარასელია, ვლადიმერ გუცაევი, დავით ყიფიანი, რამაზ შენგელია, თენგიზ სულაქველიძე... ვინც არ ჩამოვთვალეთ, გვაპატიოს, მაგრამ ვფიქრობთ, ჩამოთვლილთა თამაშის გახსენება სრულიად საკმარისია იმის მისახვედრად, თუ რატომ გაიარა მომავალი ოლიმპიური ვარსკვლავის გზამ თბილისიდან თბილისამდე — ქუთაისზე.

სხვათა შორის, როგორც ზევით მოგახსენეთ, იმ წელიწადს არც „ტორპედო“ იყო ჯაბანი. იქ თამაშობდნენ ძმები მანუჩარ და გოჩა მაჩაიძეები, შოთა ოქროპირაშვილი, ვლადიმერ შელია, დევიზ დარჯანია, დურმიშხან ქვირია, გიორგი გაბიჩვაძე, რევაზ ბურკაძე და სხვანი. გელა კეტაშვილიც მათ კამპანიაში მოხვდა.

კეტაშვილმა, მაშინდელი კლასიფიკაციით საქართველოს მეორე გუნდში, თავი მალევე გამოიჩინა, ძირითად შემადგენლობას იმთავითვე გაუშინაურდა. მის შესახებ გაზეთებში სტატიები გაჩნდა.

— ეგი, კარლოიას აღზრდილია? — კითხულობდნენ ტრიბუნებზე, მაგრამ გელა კეტაშვილი დიდი ქართველი საფეხბურთო პედაგოგის კარლო ხურციძის აღზრდილი არ იყო.

ისე, მსხვილმანებსაც თუ დავაკვირდებით და წვრილმანებსაც, გელა ფრიად უცნაური ბედის ადამიანი გამოდის. უფრო სწორად, ადამიანმა შეიძლება მისი და ბედის მეტისმეტად საინტერესო ურთიერთობა შეამჩნიოს. ამ კერძო შემთხვევაში აი, რას ვგულისხმობთ: იმ პერიოდში

გელა კეტაშვილი და ოთარ გაბელია ნორჩ ფეხბურთელებთან

კარლო ხურციძის აღზრდილი ქუთაისელი ბიჭების თბილისში გადასახლება ჩვეულებრივი ამბავი გახლდათ, აი, თბილისელი ახალგაზრდის „ტორპედოში“ მისვლა კი განსხვავებული რაღაც იყო, ყურს ეხამუშებოდა. და, როდესაც ქუთაისის ცენტრალური სტადიონის ტრიბუნაზე იგებდნენ, რომ მათ გუნდში გამოჩენილი თექვსმეტი წლის ბიჭი თბილისიდან იყო, უკვირდათ.

მაგრამ, პროფესიონალიზმი, შრომა და საქმის ერთგულება ის თვისებებია გელა კეტაშვილს ნებისმიერი გუნდის ორგანულ ნაწილად და მაყურებლის საყვარელ ფეხბურთელად რომ აქცევდა. ასე მოხდა ქუთაისშიც, სადაც სეულის გმირმა 1984 წლამდე დაჰყო.

თუმცა, სანამ 1984-ს დავუბრუნდებოდეთ, ორიოდ სიტყვით გავიხსენოთ 1973, როდესაც მამამ გელა „ნორჩ დინამოელში“ მიიყვანა. ბავშვი სწრაფი იყო, მოქნილი, ბურთს ჩინებულად გრძნობდა, თუმცა, როგორც ეს ხშირად ხდება, ფიზიკურად გახლდათ სუსტი, კაფანდარა. და თუკი მკითხველი ამ წიგნის დამწერს თავისი კლასელის გახსენების

ნებას დიდსულოვნად დართავს, გიამბობთ, რომ ის კლასელი, რომელიც დღეს ლუკმაპურს კომპიუტერების მომსახურეობითა და შეკეთებით შოულობს, ბავშვობაში ფეხბურთელობაზე ოცნებობდა და ფშმ-ში დადიოდა. ცნობისთვის: ფშმ-ი „ფუტბოლნაია შკოლა მალადიოჟის“ აბრევიატურა გახლავთ.

იმხანად, ბავშვთა გუნდებისთვის უამრავი ტურნირი ეწყობოდა და ერთ-ერთ მათგანზე ისე მოხდა, რომ ჩემი კლასელის ფშმ-ი კეტაშვილის „ნორჩ დინამოელს“ შეხვდა. ის საიდანღა ვიცით, რომ ოდესღაც ჩატარებული პატარათა ტურნირის ერთ-ერთი მონაწილე გელა კეტაშვილი იყო? იქიდან, რომ იმ ტურნირზე მორბენალი ბევრი ბავშვიდან — რომელთა შორის, გვერწმუნეთ, ნიჭიერი არცთუ ცოტა იყო — ერთი ყველასგან გამოირჩეოდა. ის თანატოლებში დაფრინავდა, დაქროდა და ამას ისე მოხერხებულად და მოხდენილად აკეთებდა, რომ თავად მეტოქეებმა, ბავშვებმა ჰკითხეს თავიანთ მასწავლებლებს, რა გვარიაო. სწორედ იმ დროიდან ახსოვს ამ წიგნის დამწერის კლასელს სახელი და გვარი გელა კეტაშვილი.

ამრიგად, 1970-იან წლებში „ნორჩ დინამოელში“ ვარჯიშობდა და თანატოლებს აწიოკებდა სხარტი, ტექნიკური, კაფანდარა ბიჭი, რომელსაც ამ მონაცემების გამო მწვრთნელები, ბუნებრივია, თავდამსხმელად ათამაშებდნენ და უმართლებდათ კიდეც. გელა კეტაშვილის პირველი მწვრთნელი სერგო აპრესიანი გახლდათ, მაგრამ მერე, უკვე დიდობაში ისეთი რამ მოხდა, რაც დედამიწის სხვადასხვა კუთხეში უამრავჯერ მომხდარა. განა არ გსმენიათ ისტორიები იმის შესახებ, თუ ოდესღაც, რომელიღაც ტურნირზე, როგორ დაშავდა რომელიღაც გუნდის მეკარე და მწვრთნელმა ერთ-ერთ ფეხბურთელს მის ნაცვლად კარში ჩადგომა სთხოვა, რის მერეც ფეხბურთში კიდევ ერთი დიდი მეკარე იშვა? აი, ყველაფერი ზუსტად ასე იყო, იმ განსხვავებით, რომ გელა კეტაშვილის შემთხვევაში მეკარის ნაცვლად ავად მარჯვენა მცველი გახდა და მწვრთნელმაც გელას დაცვის ამ ფრთაზე სთხოვა გადავლა. ეს იყო და

გელა კეტაშვილი — თბილისის „დინამოს“ ახალწვეული

ეს. იმ დღიდან გაირკვა, რომ კეტაშვილს მეტოქისთვის ბურთის ართმევის საოცარი ნიჭიც აქვს და ამ უნარმა, მის სხვა თვისებებთან ერთად, 1988 წელს სეულში ოლიმპიური ოქრო მოიგო... რომარიოს მოუგო.

აი, ახლა კი დავუბრუნდეთ 1984 წელს, როდესაც გელა კეტაშვილის ცხოვრებაში ქუთაისური პერიოდი დასრულდა და იმხანად უკვე ოც წელიწადს მიტანებული მარჯვენა მცველი თბილისის „დინამოში“ მიიწვიეს.

ნებისმიერ ადამიანს, ვინც ქართული ფეხბურთის ისტორია ასე თუ ისე იცის, კარგად მოეხსენება, რა პერიოდია ეს თბილისის „დინამოსთვის“: 1981 წლის დიდი წარმატების შემდეგ 82-ში „დინამო“ მაღალი კლასისა და ინერციის წყალობით იმავე თასების მფლობელთა თასის გათამაშების ნახევარფინალში გადის და... ტრიუმფალური ეპოქაც აქ მთავრდება. ამ დღიდან გავა ხანი და უკვე თმაშევერცხლილი ვეტერანები თავად იტყვიან მათი დიდი გუნდის დასასრულის უმთავრეს მიზეზს. ისინი მიხვდებიან, რომ მაშინ, 1981 წლის 13 მაისს თავიანთ მწვერვალს მიაღწიეს და გარშემო, სხვა მწვერვალები ვეღარ დაინახეს. გულით ვე-

ქართველ ოლიმპიურ ჩემპიონთა კლუბის წევრები: ვახტანგ ბლაგიძე, რომან რურუა, მზია ჯუღელი, გელა კეტაშვილი, რობერტ შავლაყაძე, დავით ციმაკურიძე, დავით გობეჯიშვილი და შოთა ჩოჩიშვილი

ღარ დაინახეს, თორემ თვალით ხედავდნენ. მაგრამ ეს, ახლა, უკვე ისტორია და ძველი ამბების ანალიზია, მაშინ კი ყველაფერს კონკრეტული სახელი ერქვა — თაობათა ცვლა, რაც ვეტერანების ან მათი ერთი ნაწილის წასვლასა და ახალი თაობის მოსვლას ნიშნავდა. და ვინ უნდა ყოფილიყო ახალთა შორის ერთ-ერთი ყველაზე იმედის მიმცემი, თუ არა გელა კეტაშვილი, ახალ თანაგუნდელებს შორის აშკარად თვალშისაცემი ფიგურათაგანი. და, აქვე აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ მაშინ, გამარჯვებებს დაჩვეული ქართველი გულშემატკივარი ახალი თაობისგან სხვას არაფერს ელოდა, თუ არა ერთი ამოსუნთქვის შემდეგ ისევ დიდ გუნდად ჩამოყალიბებასა და ახალი ტიტულების მოხვეჭას.

„დინამოში“ გადასული კეტაშვილიც მზად იყო ახალი ცხოვრების დასაწყებად. ის ყურადღებით შეჰყურებდა 1981 წლის ვარსკვლავებს და მათგან ყველაფრის სწავლას ცდილობდა. მნიშვნელოვანი იყო თითოეული მოძრაობა, ფინტი, გადაადგილება, ოღონდ... როგორც გელა თავად ამბობს, მას ეს ყველაფერი თავისი ინტერპრეტაციით, თავი-

სი ვარიანტით, კეტაშვილისებურად სჭირდებოდა. ის ხომ დაბადებით პროფესიონალი იყო.

თან, ლეგენდარულ დიღმის ბაზაზე დიდ ვოვა გუცაევთან ერთ ოთახში გაამწესეს. მეტი რა უნდოდა ყმაწვილკაცს?

მართლაც, მეტი რა უნდა სდომოდა ახალგაზრდას, რომელიც იმავ 1984 წელს სერგეი მოსიაგინმა და ბორის იგნატიევმა ჭაბუკთა ევროპის ჩემპიონატზე წაიყვანეს. იმ ჩემპიონატში საბჭოთა კავშირის ნაკრები ფინალში გავიდა და გელაც ამ დიდებული სვლის მონაწილე შეიქნა, მაგრამ გახსოვთ, ზემოთ რომ ვთქვით, იღბალსა და კეტაშვილს ფრიად უცნაური ურთიერთობა აქვთო? არა, იმის თქმა, რომ ბედს კეტაშვილი არ უყვარს, არაფრით არ შეიძლება — ასე რომ იყოს, ის ოლიმპიური ჩემპიონი ვერასდროს გახდებოდა, მაგრამ მეორე მხრივ... მაგალითად, 1984 წლის ჭაბუკთა ევროპის პირველობაზე კეტაშვილი ფინალში გავიდა და... იქ დაშავდა, კუნთი გაუწყდა.

გელა კეტაშვილი და ნაკრებები, აი, ეს კი ცალკე თემაა. გელას ნაკრებში ყოველთვის იწვევდნენ. ახლა, როდესაც მის კარიერას ახლოდან ვეცნობით, ვხედავთ, რომ საკლუბო დონეზე მას ბოლომდე მაინც არ გაუმართლა. თბილისის „დინამო“, თითქოს თბილისის „დინამო“ იყო, მაგრამ ვაი, რომ სწორედ „თითქოს“. გავიდა ხანი და 2000 წლის 10 იანვრის „რეზონანსისთვის“ მიცემულ ინტერვიუში კეტაშვილმა მაშინდელი გუნდი ასე გაიხსენა:

„მაშინდელ „დინამოში“ არცთუ სასიამოვნო სიტუაცია სუფევდა. ჩვენი გუნდი ნამდვილად არ იყო შეკრული კოლექტივი, არ იყო ის ძმობა და მეგობრობა, რაც ასე საჭიროა დიდი მიზნების მისაღწევად“.

ხოლო, ნაკრები გელას მუდამ თან სდევდა. მერედა, ნაკრებიც არის და ნაკრებიც, ხომ მართალია? 1984-ში ჭაბუკთა ნაკრები, როგორც გითხარით, ევროპის ჩემპიონატის ფინალში გავიდა, ერთი წლის შემდეგ ახალგაზრდათა მსოფლიოს ჩემპიონატზე მეოთხე იყო, ოლიმპიადის ამბავი კი ხომ ვიცით და ვიცით.

პირველად კი ეს ამბავი ჯერ კიდევ „ტორპედომდე“ მოხდა, 35-ე სკოლის გუნდში, რომელსაც „სიხარული“ ერქვა. მაშინ, გელას პედაგოგი შუქრი ჭუმბურიძე გახლდათ, ჰოდა, ერთ მშვენიერ დღეს კეტაშვილს სწორედ ბატონმა შუქრიმ დაურეკა და უთხრა, რომ მისთვის კარგი ამბავი ჰქონდა — საბჭოთა კავშირის ნაკრებში იწვევდნენ. რასაკვირველია, ასაკობრივ ნაკრებზე იყო ლაპარაკი, მაგრამ...

წარმოიდგინეთ დედამიწის ერთ მექვსედზე გადაშლილი ქვეყანა აწყობილი მექანიზმებით, რომელთა შორის არის საფეხბურთო მეურნეობაც. იქ, ფეხბურთს მილიონობით ბავშვი თამაშობს, ნაკრებში კი სულ ოცამდე კაცს იძახებენ და ამ ოცში ერთი შენ ხარ!

„ენა ჩამივარდა, ღამეები არ მეძინა,“ — იგონებს ოლიმპიური ჩემპიონი ბავშვობის დროინდელ ამბავს.

და მას მერე დაიწყო... როგორც გითხარით, გელას მუდმივად იწვევდნებ ამა თუ იმ ნაკრებში. ზემოთ, 1985 წლის ახალგაზრდათა მსოფ-

ლიოს ჩემპიონატი რომ ვახსენეთ, იქ საბჭოთა კავშირის ნაკრები მეოთხე ადგილზე გავიდა. სხვათა შორის, ის ჩემპიონატი მარტო გელასთვის კი არა, მთელი საქართველოსთვის სამახსოვრო გამოდგა — ერთ-ერთ ჯგუფს თბილისიც მასპინძლობდა „დინამოსა“ და „ლოკომოტივის“ სტადიონებზე. ჩვენთან თავი მოიყარეს ბრაზილიამ, ესპანეთმა, ირლანდიამ და საუდის არაბეთმა. ეს იყო საოცრებათა ზაფხული — ხალხმა პირველად იგემა „კოკა კოლა“ და „ფანტა“. ჩემპიონატის სპონსორი ეს ორი „კაპიტალისტური“ სასმელი თბილისის სტადიონებზე ისე ჩვეულებრივად იყიდებოდა, გეგონება „ტარხუნის“ ლიმონათი ყოფილიყო. ამ სასმელებს ჩვენი, ჩვეულებრივი თეთრხალათიანი გამყიდველები ყიდდნენ.

საუდის არაბეთის ნაკრებს შეიხი ჩამოჰყოლოდა და ქალაქში ჭორი დადიოდა, ჰარამხანასთან ერთად სადღაც კოჯორში ცხოვრობსო.

ირლანდიელებს ერთი ძალიან ნიჭიერი თავდამსხმელი ჰყავდათ, ბრაიან მუნი, მაშინდელი მოდის კვალობაზე გვერდებზე შეჭრილი, მაგრამ უკან მოშვებული თმით — ზონარით რომ შეეკრა, რობერტო ბაჯოსავით ცხენის კუდი გამოუვიდოდა.

კარგი იყო ესპანეთიც, მაგრამ თბილისში, აბა, გასაკვირი რა არის, რომ ყველაზე მეტ ყურადღებას ბრაზილიელებს აქცევდნენ. იმ ბრაზილიის ნაკრებში თამაშობდნენ შემდგომში ცნობილი მეკარე კლაუდიო ტაფარელი და თავდამსხმელები პაულუ სილასი და მიულერი, მაგრამ თბილისური პუბლიკისთვის მთავარი ეს სამეული არ ყოფილა — ესენი ვინც იყვნენ, დრომ გამოაჩინა — მაშინდელი თბილისელებისთვის მთავარი სულ სხვა მოთამაშე, ნახევარმცველი ბალალო იყო, ჩაფსკვნილი, ჯმუხი, ტექნიკური ბიჭი, რომელიც აქაურ ძია-კაცებს ჯალმა სანტოსის დროინდელ ბრაზილიელებს აგონებდა.

და აი, ამ ჩემპიონატში მონაწილეობდა გელა კეტაშვილიც, ოღონდ თბილისისა და მთელი საქართველოსთვის სამწუხაროდ ჯგუფი, რომელშიც საბჭოთა კავშირის ნაკრები გამოდიოდა, მინსკში თამაშობდა.

CCCP

არადა, მართლაც რა ჩინებულად გამოვიდოდა: ბრაზილია, თავისი ტაფარელით, სილასითა და მიულერით, ირლანდია თავისი ბრაიან მუნით, საუდის არაბეთი შეიხით და ამ ყველაფერთან ერთად შენიანი, „დინამოს“ ფეხბურთელი, ამომავალი ვარსკვლავი გელა კეტაშვილი...

მაგრამ, როგორც მოგახსენეთ, ასე არ მოხდა. იმ, შორეულ 85-ში გელას ქართველი ქომაგი დააკლდა, ქართველმა ქომაგმა კი, თავის მხრივ, კეტაშვილის გარეშე იზეიმა მსოფლიოს ახალგაზრდული ჩემპიონატი, რომლის ფინალში ერთმანეთს თბილისური ჯგუფის ორი მონაწილე, ბრაზილია და ესპანეთი შეხვდა. ჩემპიონი ბრაზილია გახდა, საბჭოთა კავშირის ნაკრები კი მეოთხეზე გავიდა, მესამე ადგილისთვის მატჩი ნიგერიასთან წააგო.

ასე და ამგვარად, როგორც მოგახსენეთ, გელა კეტაშვილი სიყრმიდანვე იმ ვარსკვლავთა შორის იყო, ასაკობრივი თუ დიდი ნაკრებების მწვრთნელები უყურადღებოდ რომ ვერ ტოვებდნენ. გელას მთელ კარიერას ლაიტმოტივად საერთაშორისო ფეხბურთი გასდევს და ფაქტად რჩება: მართალია, ქართველი ოლიმპიური ჩემპიონის კარიერა მრავალწლიანი არ გამოდგა, მაგრამ ის დიდებული სანაკრებო შეჯიბრებებით ნამდვილად მდიდარი იყო. ასე განსაჯეთ, კეტაშვილს 1986-1988 წლებში ინდოეთში ჯავახარლარ ნერუს სახელობის თასიც კი აქვს მოპოვებული.

...შემდეგ კი უნდა ყოფილიყო წლები, ჩემპიონატები, ტიტულები, ამის ნაცვლად კი ქართულ ფეხბურთს ხელში ახალგაზრდა ვეტერანი შერჩა. მაინც, რა მოხდა? რა იკვეთება გონებაში გელა კეტაშვილსა და მის კარიერაზე ფიქრისას? რამ შეუშალა ამ უმაღლესი დონის ოსტატს უფრო მეტი და მეტი სიმაღლის დაპყრობაში ხელი?

განა ოლიმპიური ოქრო ცოტააო, იტყვის ვინმე. ღმერთო ჩემო, ცოტა როგორ არის, ცოტა კი არა, ოლიმპიური ოქრო იცოცხლეთ, ისეთი რამ გახლდათ, მასზე მაღლა სპორტში არაფერია, მაგრამ დაუკმაყოფილებლობის გრძნობას ის ასაკი ტოვებს, როდესაც გელამ ფეხბურ-

თის თამაშს თავი დაანება. დიახ, მისი კარიერა კიდევ კარგა ხანს უნდა გაგრძელებულიყო და ასე რომ მომხდარიყო, ვინ იცის, რა ჯილდოებს შემატებდა ბედთან უცნაურ ურთიერთობაში მყოფი ვარსკვლავის „დიდების დარბაზს“.

დიახ, შეიძლება ითქვას, რომ გელა კეტაშვილს ფეხბურთელის ცხოვრება ისტორიულმა ეპოქამ, ცვლილებათა ქარებმა და გრიგალებმა გასტაცეს. 1990-ში ის მსოფლიოს ჩემპიონატზე უნდა წასულიყო და ვერ წავიდა... იმ დროის საქართველოში ძალიან დიდი ტალღები ეხეთქებოდა ყველასა და ყველაფერს. ტალღები იყო გარედან და შიგნიდან, ადამიანთა გულებში. ინგრეოდა ყველაფერი ძველი, ზოგი დასანგრევი და ზოგიც შესანარჩუნებელი, ტრიალებდა ვეებერთელა მორევი და ამ ქარიშხალში გზის გაკვლევა ძალიან ძნელი იყო, მით უფრო, ცხოვრებასთან ჭიდილში მრჩეველის გარეშე დარჩენილი ახალგაზრდა კაცისთვის.

რა იქნებოდა იდეალური?

იდეალური იქნებოდა კეტაშვილი დასავლეთ ევროპის რომელიმე კლუბში რომ გადასულიყო და კარიერა იქ გაეგრძელებინა, ვთქვათ, სადმე იტალიაში ან საფრანგეთში, მაგრამ ასე არ მოხდა. ბედმა, გარშემო მოტრიალე ადამიანებმა თუ კიდევ სხვა რაღაცამ ოლიმპიური ჩემპიონის ცხოვრება სხვა მიმართულებით წარმართეს, თუმცა...

ღმერთო ჩემო, ჯობს სიტყვებს დავუფიქრდეთ — ჩვენ ხომ ოლიმპიურ ჩემპიონზე ვლაპარაკობთ!

ამქვეყნად მილიონობით ადამიანი რას არ დათმობდა, უამრავ რამეზე იტყოდა უარს და უამრავსაც გაიღებდა, ოღონდ კი ოლიმპიური ჩემპიონი გამხდარიყო. ოლიმპიური ჩემპიონობა ხომ სპორტში თვალუწვდენელი სიმაღლეა, რომლის დაპყრობაც მხოლოდ რჩეულთა, მხოლოდ საუკეთესოთა ხვედრია და მათ შორის ქართული ფეხბურთის ვარსკვლავს, გელა კეტაშვილს თავისი განსაკუთრებული, ღირსეული ადგილი უჭირავს.

გელა კეტაშვილი

დაიბადა 1965 წლის 27 სექტემბერს თბილისში. ფეხბურთელი, მცველი. თამაშობდა ქუთაისის „ტორპედოში“ (1981-83), თბილისის „დინამოში“ (1984-90, 1994), ლანჩხუთის „გურიაში“ (1991), თბილისის „თეთრ არწივში“ (1993-94). სსრკ ნაკრებში ჩაატარა 3 მატჩი. 1988 წლის სეულის ოლიმპიადის ჩემპიონი. სსრკ უმაღლეს ლიგაში ითამაშა 164 მატჩი (4 გოლი), საქართველოს უმაღლეს ლიგაში — 9. სსრკ სპორტის დამსახურებული ოსტატი. ვახტანგ გორგასლის II ხარისხის და ღირსების ორდენების კავალერი.

GELA KETASHVILI

Football player as defender, was born on September 27, 1965 in Tbilisi. He used to play for the football clubs “Torpedo” Kutaisi (1981-1983), “Dynamo” Tbilisi (1984-90, 1994), “Guria” Lanchkhuti (1991) and “White Eagle” Tbilisi (1993-1994). He played 3 matches as a member of the USSR national combined team. Ketashvili is a champion of the Olympics in Seoul (1988). He played 164 matches in the USSR major league and scored 4 goals. In the Georgian major league Ketashvili scored 9 goals. He was the USSR Honored Master of Sports. Ketashvili was decorated with Vakhtang Gorgasali Order of the 2nd class and Order of Honor.